შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“

ვამტკიცებ

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკას“ დირექტორი

ბრძანება № 68[1] 16.09.2022

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა„ ბრიტანიკა“

2022-2027 სტრატეგიული გეგმა

შესავალი

წინამდებრე დოკუმენტი წარმოადგენს შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკას“ სტრატეგიული განვითარების გეგმას. მასში ასახულია სკოლის გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები, სამოქმედო კურსი, მიზნების მიღწევის გზები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, დასახული მიზნების რეალიზების ვადები, საშუალებები და მისი შედეგები.

სკოლის საქმიანობა ეფუძნება საგანმანათლებლო სივრცეში აღიარებულ პრინციპებსა და მიდგომებს, რომელსაც დაწესებულების საქმიანობის ძირითად ფუნდამენტად მიიჩნევს. სკოლას მიაჩნია, რომ დაწესებულების თანმიმდევრული განვითარებისათვის აუცილებელია - სკოლის სტარტეგიის ფორმულირება, რომელშიც გაცხადებული იქნება სკოლის მიდგომა და ხედვა, რომელსაც ირჩევს დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად. სკოლის წარმატება და განვითარება მნიშვნელოვანწილად მასწავლებლის პროფესიულ ოსტატობას ეფუძნება. მათ მაღალი პროფესიონალიზმი, დიდი პასუხისმგებლობა, ძალისხმევა და ენთუზიაზმი ესაჭიროებათ იმისთვის, რომ უპასუხონ თანამედროვე მოთხოვნებს. მუდმივი სწრაფვა განვითარებისაკენ, ცოდნის გაღრმავება, თანამედროვე, მუდმივად განვითარებადი ტექნოლოგიებისადმი პროფესიონალური დამოკიდებულება, საკუთარი გამოცდილებისა და უნარების მობილიზება არის საკვანძო საკითხები სკოლის მიერ წარმატების მისაღწევად. სკოლა დარწმუნებულია, რომ მისი სტარატეგიული განვითარების გეგმის რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებითა და ობიექტური ანალიზით. შესაბამისად, სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვა უნდა მოხდეს პერიოდულად და მის მოდიფიცირებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს სკოლის ყველა დაინტერესებულმა პირმა.

შპს ქართულ- ინგლისური სკოლა ,,ბრიტანიკას“

მისია

სკოლა ,,ბრიტანიკა“ მოსწავლეებს სთავაზობს უცხოური ენების გაძლიერებული სწავლებას სამომავლოდ კონკრეტულ გარემოში თავისუფლად ინტეგრირებისა და თვითდამკვიდრებისთვის. უსაფრთხო სასწავლო გარემოში შესაძლებლობა ეძლევათ საკუთარი შესაძლებლობების, ინტერესების, მიდრეკილებების გამოვლენისა და მოაზროვნე, შემოქმედი, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეებად ჩამოყალიბებისთვის.

სკოლის ხედვა და ღირებულებები

სკოლა ითვალისწინებს სწავლება-სწავლის პროცესში ჩართული პირების ინტერესებს და თავის საქმიანობას წარმართავს შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით:

ობიექტურობა: სკოლის საქმიანობის შეფასება და თვითშეფასება, მოსწავლის, მასწავლებლის, სასწავლო პროცესის შეფასება ეფუძნება კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს. დადგენილი პროცედურები მაქსიმალურად გამორიცხავს შეფასებაში მონაწილე პირების სუბიექტივიზმს;

გამჭირვალობა: საქმიანობაში მოქმედი სტანდარტები და პროცედურები, სკოლის ხედვები და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და წინასწარ ცნობილია ყველა მხარისათვის. უზრუნველყოფილია სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა;

მიუკერძოებლობა: სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა საუკეთესო ინტერესებს;

თანამშრომლობა: სკოლა ღიაა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობისათვის. კონსტრუქციულად განიხილება სიახლეები, წინადადებები, განსხვავებული პოზიციები;

ზრუნვა მუდმივ განვითარებაზე: სისტემატურად ფასდება სკოლის საქმიანობა. შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, იგეგმება შემდგომი განვითარების გზები.

სკოლის მიზნები

სკოლის მთავარი სტრატეგიული მიზანია მომდევნო 6 წლის განმავლობაში მოსწავლეებმა შეძლონ სავალდებულო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან ერთად, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შემუშავებული დამატებითი პროგრამები წარმატებით დაძლევა.

დასახულ მიზნის შეფასების ინდიკატორებია:

1. სკოლის კურსდამთავრებულები, (რამდენად რეალიზებულნი არიან სკოლის დამთავრების შემდეგ; სწავლის გაგრძელება საქართველოს ან საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში/ პროფესიულ სასწავლებლებში / დასაქმება);
2. სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, ახალი პროგრამების შემუშავება და სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა;
3. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია მუდმივად მოწესრიგებულობა;
4. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივად განახლება, მოდერნიზება;
5. უსაფრთხო და ორგანიზებული სასწავლო გარემო;
6. მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში.

სკოლის ამოცანები

1. მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა სკოლაში;
2. მოსწავლეების შესაძლებლობების აღმოჩენის მუდმივი ძიება;

3. მასწავლბლების და სხვა თანამშრომლების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება;

4. სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა;

5. თანამედროვე ტექნოლოგიების სრულფასოვანი დანერგვა სწავლების პროცესში.

ექვსწლიანი გეგმის სტრატეგიული მიზნები

სტრატეგიული მიზანი I. მართვის სისტემა

ხედვა	პროგრამა
შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ,, ბრიტანიკას“ მართავს სკოლის დირექტორი, რომელიც ასევე არის სკოლის დამფუძნებელი, ის ხელმაძღვანელობს სკოლაში მიმდინარე სასწავლო–სააღმზრდელო პროცესს, მონაწილეობს პედსაბჭოს სხდომებზე, წარმართავს საკადრო პოლიტიკას. სკოლას მიაჩნია, რომ აუცილებელია ფუნქციათა თანამიმდევრული გადანაწილება დასაქმებულთა შორის და მათი ზუსტი შესრულება სკოლის დებულებით, შინაგანაწესით და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის დაცვით; სკოლაში გადაწყვეტილების მომზადება და მიღება განხორციელდება საჯაროობისას და გამჭვირვალობის პირობებში, თანამშრომელთან დობისა და ურთიერთმომთხოვნელობის მაღალი კულტურის გათვალისწინება.	სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული დებულებით განსაზღვრულია ფუნქციები, უფლებები და მოვალეობები, რაც მუდმივად განახლებადია და ამ პროცესში მონაწილეობს დასქმებულთა დიდი ნაწილი;

სტრატეგიული მიზანი II. მატერიალურ ტექნიკური ბაზა

ხედვა	პროგრამა
სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია მატერიალურ–ტექნიკური ბაზა, შენობის ფუნქციური და ესთეტიკური მხარის მუდმივად	1. ეზოს კეთილმოწყობა 2. საკუთარი შენობის შეძენა 3. ფართის გაზრდა მოსწავლეთა გაზრდილი მოთხოვნების

წესრიგში ყოფნა, ელექტრო გაყვანილობის, წყალმომარაგების და გათბობის სისტემების შეუფერხებლად მუშაობა; კომპიუტერული ბაზის გაძლიერება, ბიბლიოთეკისა და სპორტული ბაზის გაუმჯობესება;	დასაკმაყოფილებლად **4.** სპორტული ღია მოედნის არსებობა სკოლის საკუთრებაში; **5.** საზაფხულო ბანაკის ორგანიზება.

სტრატეგიული მიზანი III. ხარისხის უზრუნველყოფა

ხედვა	პროგრამა
სკოლას ჰყავს ხარისხის მართვის მენეჯერი, ასევე შექმნილია ხარისხის მართვის და მხარდამჭერი ჯგუფი. . სკოლას შემუშავებული აქვს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების დებულებები და სამოქმედო გეგმები.	**1.**სასწავლო პროცესის მონიტორინგი; მონიტორინგის ანალიზი და შედეგების განხილვა ცალკეულ პედაგოგთან. **2.**მოსწავლეთა შეფასების ზოგადი დადებითი და უარყოფითი ტენდენციების განხილვა პედაგოგთა საერთო შეხვედრებზე; პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავება. 3.საგნობრივ გაერთიანებების შეკრებებზე პერიოდულად, ცალკეული საფეხურების მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნის მიღწევის საშუალებების განხილვა, 4. დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებისა და საათობრივი დატვირთვის ეფექტიანობის განსაზღვრა; 5.კლასის დამრიგებლებთან საერთო შეკრებებზე (არანაკლებ თვეში ერთხელ) ცალკეული კლასების მდგომარეობის შეფასება, როგორც აღმზრდელობით ასევე საგანმანათლებლო კუთხით, რითაც განისაზღვრება საკლასო, კლასგარეშე და

	სკოლისგარეშე შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონისძიებების ეფექტიანობა; 6. მოსწავლეების, მშობლების, პედაგოგების მიზნობრივი პერიოდული გამოკითხვები შემუშავებული კითხვარების მიხედვით;

სტრატეგიული მიზანი IV. საკადრო პოტენციალი

ხედვა	პროგრამა
გამოცდილი, პროფესიონალი და მოტივირებული თანამშრომელების მოზიდვა სკოლის წარმატების გარანტიაა.	სკოლა ვალდებულებად მიიჩნევს, ხელი შეუწყოს პედაგოგთა სხვადასხვა ტიპის ტრენინგებში მონაწილეობას. სკოლის დაკომპლექტებას პროფესიონალი და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე კადრებით. სკოლისთვის პრიორიტეტია ახალგაზრდა პედაგოგების დასაქმება, რომლების მოტივირებული არიან პროფესიულ განვითარებაზე და სწავლის ინოვაციური მეთოდების დანერგვაზე სასწავლო პროცესში. პედაგოგების გარდა მნიშვნელოვანია სკოლის სხვა სტრუქტურულ ერთეულებში, კვალიფიციური და განვითარებაზე ორიენტირებული კადრების მოზიდვა.

სტრატეგიული მიზანი V. მოტივაციის ამაღლებისა და წახალისების სისტემა

ხედვა	პროგრამა
წარმატებაზე და მუდმივ განვითარებაზე ფიქრი შეუძლებელია მოსწავლეთა და მასწავლებელთა, ასევე მმართველი გუნდის (დირექცია–ადმინისტრაცია) სათანადო მოტივაციისა და წახალისების გარეშე.	სკოლის შინაგანაწესში ნათლადაა ჩამოყალიბებული წახალისების მექანიზმი, სკოლას მიზანშეწონილად მიაჩნია წახალისებისათვის სპეციალური ფონდის შექმნა და ფონდისათვის

ამგვარი მოტივაციის არსებობა ხელს უწყობს სიახლეთა ძიებას, აღქმისა და დანერგვის პასუხისმგებლობისა და საშემსრულებლო დისციპლინის გარდა, ფუნქციათა ხარისხიანად შესრულებას შეძლებისდაგვარად;	სახსრების გამოყოფა სკოლის შემოსავლებიდან.

ექვსწლიანი განვითარების გეგმა

1. **სტრატეგიული მიზანი: მართვის სისტემები**

აქტივობები	**ვადები**	**პასუხისმგებელი სტრუქტურა**	**ინდიკატორები და გადამოწმების საშუალება**
შედეგი 1.1 საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზა დახვეწილია			
1.1.1 სკოლის სტრუქტურის დებულების, შინაგანაწესისა და თანამდებობრივი ინსტრუქციების დახვეწა	საჭიროებიდან გამომდინარე	სკოლის დირექტორი; ბუღალტერი; ადმინისტრაციულ-საკანცელარიო საქმეთა მენეჯერი (იგივე **ასსმ**)	შესაბამის სამართლებრივ აქტებში შეტანილი ცვილებების რაოდენობა; მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა;
შედეგი 1.2: საქმიანობის საჯაროობის უზრუნველყოფა			
1.2.1სკოლის ვებგვერდი	ყოველწლიურად	სკოლის დირექტორი; ბუღალტერი; ისტ მენეჯერი;	მოქმედი ვებგვერდი ვებ-გვერდის ვიზიტორთა გაზრდილი რაოდენობა

სტრატეგიული მიზანი 2: მატერიალურ- ტექნიკური ბაზა

აქტივობები	**ვადები**	**პასუხისმგებელი სტრუქტურა**	**ინდიკატორები და გადამოწმების საშუალება**
2..1. მატერიალურ - ტექნიკური ბაზის მდგომარეობის ანალიზი და	ყოველწლიურად	– სკოლის დირექტორი;	წერილობითი ანალიზი;

ხარჯთაღრიცხვის შედგენა		– ბუღალტერი;	
2.2. არსებული მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გადახალისება (განახლება)	ყოველწლიურად	– სკოლის დირექტორი; – ბუღალტერი;	წერილობითი ანალიზი;
2.3. ბიბლიოთეკის ანალიზი და განახლება, წიგნადი ფონდის გაზრდა - გადახალისება	ყოველწლიურად	– სკოლის დირექტორი; – ბუღალტერი; – ბიბლიოთეკარი	წიგნადი ფონდის ინვენტარიზაცია
2.4. ბიუჯეტის პროექტი	ყოველწლიურად	– სკოლის დირექტორი; – ბუღალტერი;	შემუშავებული ბიუჯეტის პროექტი
2.5 სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	2022-2023	სკოლის დირექტორი	მემორანდუმი მუნიციპალიტეტთან მიმდებარე სტადიონის გამოყენებაზე

სტრატეგიული მიზანი 3. ხარისხის უზრუნველყოფა

აქტივობები	**ვადები**	**პასუხისმგებელი სტრუქტურა**	**ინდიკატორები და გადამოწმების საშუალება**
შედეგი: 3.1: შექმნილია ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიული განვითარების პროგრამა;			
სასწავლო პროცესის შეფასება და მონიტორინგი	ყოველწლიურად	– სკოლის დირექტორი; – ხარისხის მართვის მენეჯერი	საგნობრივი კურიკულუმები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, გაკვეთილებზე დასწარების და შეფასების

			ამსახველი დოკუმენტები
შედეგი: 3.2: განხორციელებულია შიდა და გარე თვითშეფასება;			
1.თვითშეფასების ანგარიშის მომზადება. რევატორიზაცია	2023	სკოლის დირექცია, პედაგოგები, სტრუქტურული ერთეულება	ავტორიზაციის მოპოვების მიზნით შეტანილი განაცხადი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. ხელახალი ავტორიზაციის მოპოვება
2.ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის შევსება	ყოველწლიურად	სკოლის დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი	თვითშეფასების ანგარიში შევსებულია
3.მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით სასკოლო კლუბების შექმნა და ფუნქციონირება.	2021-2027	სკოლის დირექცია	მკითხველთა კლუბი და მოგზაურთა კლუბი. კლუბების წესდებები.
4.ტრენინგებისა და სემინარების დაგეგმვა (ინოვაციური სტრატეგიები/ მეთოდები; სწავლების პროცესში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება	2021-2027	სკოლის დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერი საგნობრივი კათედრები	ტრეინინგის გავლის ცნობები. სერთიფიკატები
5.მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვა; სასწავლო პროცესთან დაკავშირებით მათი	ყოველწლიურად	სკოლის დირექცია	შემუშავებული კითხვარები, შევსებული კითხვარები. გამოკითხვის შედეგების ანალიზი

მოსაზრებების, იდეების, საჭიროებების კვლევის მიზნით			

სტრატეგიული მიზანი IV . საკადრო პოტენციალი

აქტივობები	**ვადები**	**პასუხისმგებელი სტრუქტურა**	**ინდიკატორები და გადამოწმების საშუალება**
შედეგი: 4. ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა გაუმჯობესებულია			
1. თანამშრომელთა სამუშაოს აღწერილობები, პირადი საქმეების მუდმივი სრულყოფა	2021-2027	სკოლის დირექტორი ბუღალტერი ადმინისტრაციულ-საკანცელიარიო საქმეთა მენეჯერი	სკოლის დებულება
2.თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება	2021-2027	სკოლის დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერი ხარისხის მართვის და მხარდამჭერი ჯგუფი	ტერეინინგების და სემინარების გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატები
3. გადამზადების დაგეგმვა	2021-2027	სკოლის დირექტორი ხარისხის მენეჯერი ბუღალტერი	ბიუჯეტი და /ან სხვადასხვა ორგანიზაციებთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი;

სტრატეგიული მიზანი V. მოტივაციის ამაღლებისა და წახალისების სისტემა

აქტივობები	**ვადები**	**პასუხისმგებელი სტრუქტურა**	**ინდიკატორები და გადამოწმების საშუალება**
შედეგი V. I მოტივაციის ამაღლება			
1. სკოლის თანამშრომელებისთვის	2021-2027	სკოლის	სკოლის შინაგანაწესი

პრემიების გაცემის სისტემის შემუშავება		დირექტორი ბუღალტერი	სკოლის დირექტორის ბრძანება სკოლის ბიუჯეტი
2.თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებასთან ერთად სახელფასო სარგოს გაზრდა	2021-2027	სკოლის დირექტორი	შრომითი ხელშეკრულება სკოლის ბიუჯეტი
შედეგი V. II წახალისების სისტემა			
წარმატებული მოსწავლეებისთვის სიგელების და ფასიანი საჩუქრების გადაცემა	2021-2027	სკოლის დირექტორი. მოსწავლეთა თვითმართვეობა	სკოლის შინაგანაწესი დირექტორის ბრძანება